985ი.
985ვ.ი.

№ 10 ფასი 10 მანეთი

# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

## „თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი—10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, მარტის 14 | გამოსვლა 1920 წ.



**შალვა დადიანი**

მსახიობ რეჟისორი და დრამატურგ-მწერალი

(25 წ. მოღვაწეობის შესრულების გამო მარტის 17 საარტისტო საზ-ის თეატრში დაიდგმის მისივე ახალი პიესა „გეგეჭკორი").

სახელოვნო—სათეატრო—სალიტერატურო სურათებიანი ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება"

დაარსებულია 1910 წ. გამოდის ყოველ კვირა, თითო № 10 მ. წლიურად ჯერჯერობით 100 მანათი, (შეიძლება ფასი მოემატოს). ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაში (ბაზრის ქ., ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახლი არჯევანიძისა, № 20)

(ჟურნალის საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად მიიღება შემოწირულებაც).

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

# მუზათა მეჯლისი

მუზათა ვინაობა თუ ძველმა ბერძნებმა გამოიცნეს, მათი სამეჯლისო კორდი საქართველოს წალკოტში უნდა ყოფილიყო და ქართველებიც არ იყვნენ მუზათა უცნობნი. განსაკუთრებით ნეტარი თამარის და მზიურ შოთას ჩრდილოს ქვ შ ნებივრობდენ მუზანი,—მაშინ, ოდეს ქართველი რაინდული სულით იყო მოსილი, თავისუფლების დროშის ქვეშ გალაღებული...

მის შემდეგ ველურ ურდოების მრავალ გზის თარეშმა ჩვენის კეკლუც სამშობლოდან გააფრთხო მუზანი, ხოლო თუ 17—18 ს. კვლავ მოგვიბრუნდენ, ყინულეთის თეთრი დათვის თათმა მიამკვდარა.

და ველარ ვსჭვრეტდით მუზათა მეჯლისს! რუსთა უხეში ბატონობა ეგოდენ მძაფრი იყო, რომ დღესაც-კი, თუმცა თავისუფლების მზით ვსტკბებით, მუზანი მაინც ვერ მოვიშინაურეთ...

მელპომენა შემოსწყრომია ჩვენს თეატრს, რამეთუ მუნ უმეტესად ენა-გრძნობა ბრგვილნი პარპაშებენ, პოლიჰიმნია ველარ გვასმენს ჰანგთა მრავალხმოვანებას და საღვთო სიმღერებს, თითქო ქნარის გამოკვეთაც კი დავიწყებია, ვინაიდან ამას უმეტეს სმენით ბლაგვნი, გადარჯულებულნი ანუ უცხონი ეპოტინებიან; ტალია ჟამისი ჟამად თუ მოიგონებს კომედიას და ლირიკოსთ, უცხო—უგრძნობნი ან ნიღაბოსანნი დაჯირითობენ, ურანია ვერღა გვაცნობს ვარსკვლავთა ციმციმს—ჯერ კიდევ ცოდნის ცეცხლით ვერ განვწმენდილვართ; კალიოპა თუმცა მეტყველობს, მაგრამ არა იმ ენამზეობით, სილამაზით და უმაღლესი განცდით, მას რომ სჩვევია, რამეთუ აქ ნიჭიერთ კი არ ეთმობა გზა, არამედ მოძალადეთ; კლიოს გასწყვეტია ძაფი ჩვენის წარსულის და ერის შემოქმედებისა, რადგან ჯერ კიდევ არ გადასცლია თვალთა ბინდი; ტერპსიხორა ქართველურ-ჩვენებურად ვერ მოილხენს—ვერც ცეკვავს, ვერც მღერის, ვინაიდან უცხოურმა დაგვჩრდილა მანქანებით; ევტერპა ცდილობს მშობლიურ მუსიკის ჰანგთ მიაგნოს, მაგრამ აქაც პიროვნული შუღლი ერთი მეორის სიმთ სწყვეტავს; ერატო ჯერ კიდევ წმინდა სიყვარულსა და ტარიელ-ნესტანურ მიჯნურობას ვერ დასწაფებია, რადგან აქ უფრო სიტყვის ჯამბაზნი ასპარეზობენ.

და ვართ ასე გაყინულ-გათოშვილნი, უსულგულონი ან ყალბნი.

თუ ჩვენში მუზათა ხამდვილი მეჯლისი არ გაიმართა, თუ მათი სხივოსნობა—ელვარება და იდუმალი გრძნობელობა არ გვეუფლა —ვაჰ, რომ უქმი იქნება ჩვენის სიათას მიზანი და ფრანგულის კრიალი...

დრო კი დადგა, რომ ჩვენში მუზათა ისეთი მეჯლისი გაიმართოს, რომელსაც მოწინავე უცხოელნიც კი გაუმაძღარი სიხარბით გაუმიჯნურდებიან

ამის შესაძლებლობა კი არის.

დემოკრატია ვითარდება, ბურჟუაზია ყალიბდება...

ხოლო თუ ეს ვერ მოვახერხეთ, მუზანი ვერ მოვიშინაურეთ, დამნაშავე ჩვენივე არა გულწრფელი მასპინძლობა იქნება.

ქართველობას კი როდი სჩვევია არა გულწრფელი მასპინძლობა,—ქართველი მუდამ უხვია—თუ არ გადაუხვია...

ამისათვის კი საჭიროა, ჩვენის მეცნიება-ხელოვნების ყველა დარგის მესაჭეთა გონივრული-შეთანხმებული მუშაობა, რომ მუზათა ჭეშმარიტი მეჯლისი ვიხილოთ...

ნარეკალი უნდა გაიწალდოს, მკრეხელთა და ბინძურთაგან მუზათა, სავარძლები გაფაქიზდეს...

ვისი ვალია ეს?

იოსებ იმედაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა





**შალდა დადიანი და ელ. ანდრონიკაშვილი**
(შალვა დადიანის წარმოდგენის გამო საარტისტო თეატრში მარტის 17)

# ორი ზვარა

## I შალვა დადიანი

ვისაც თვალი დღეს აუხელია, განსაკუთრებით 1917 წ. მარტის შემდეგ, ის ვერცკი წარმოიდგენს რა ბუმბერაზულ შრომას ეწეოდა ქართველი მსახიობი დღევანდელი დღისთვის გმირების აღზრდაში, რა თავგანწირული, თავზე-ხელაღებული უნდა ყოფილიყო, რომ ჩვეულებრივი, გატკეპნილი გზა ცხოვრებისა მიეტოვებინა და ერის ან ხელოვნების წმინდა სამსახურს შესდგომოდა.

ვაჟკაცობა ის კი არ არის, რომ დღეს ყოყლოჩინებდე უკვე თავისუფალ სამშობლოში, რომლის მწერლობა და თეატრი არა თუ პატივდებულია არამედ რესპუბლიკის ყველა მოქალაქესთვის სავალდებულო რომ იცოდეს, თუ ჰსურს ქართველად ან საქართველოს შვილად იწოდებოდეს, არამედ მას ჟამს შინა, ოდეს ყოველივე ქართული იდევნებოდა, ჩვენი ხელოვნება აბუჩად იყო აღებული და ძალნი ჯოჯოხეთისანი დაუზოგველად სდევნიდენ ჩვენის ეროვნული სულის მატარებელ ტაძრის მსახურთ.

შალვა დადიანი იყო ერთი იმათგანი, ჩვენი მსახიობის საშუალო თაობის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რომელმაც უარჰყო დიდ გვარიანობა და ქართველი მწერლისა და მსახიობის მძიმე უღელი დაიდგა.

იქნება ის იმდენად დიდი ხელოვანი მსახიობი მაგრამ რომ დიდი მოქალაქე-მამულიშვილი იყო, ხელოვნების ერთი უანგარო და თავდაუზოგველი ქურუმი,—ამას ვერავინ უარჰყოფს.

დიდ ქართველ მწიგნობარ მამის ოჯახში აღზრდილმა, მშობლიურ ნიადაგზე თვითგანვითარებულმა არა ერთი და ორი ათეული წერილი უძღვნა მშობლიურ ხელოვნებას, მწერლობას და სხ. თითოოეული მისი სიტყვა დიდი ოსტატის ხელით ჩამოყალიბებულია და ნათელი...

საპუბლიცისტო წერილებს გარდა მრავალი აქვს ესკიზები, პიესები და სხ.

მაგრამ მისი ღვაწლი კიდევ უფრო ფასდაუდებელია, როგორც მოგზაურ დასის ხელმძღვანელის, რომელმაც ათი-თხუთმეტი წლის წინად დასავლეთ და სამუსლიმანო საქართველოში არა ერთი და ორი წარმოდგენა გამართა...

და ყოველ დარგში მუდამ ახალის მოტრფიალე, მუდამ წინ-წინ მიილტვოდა...

მწერლობა-მსახიობობის გარდა აღსანიშნავია მისი პრაქტიკული მუშაობა მწერალთა, მსახიობთა თუ სხ. კავშირებში...

მან თავისი წოდებრივი თავადობა, არისტოკრატიზმი ქართულ მწერლობასა და სცენაზედ გამოიტანა და თავისებური ბეჭედი დაასვა.

და ეს ხელოვან-ქურუმი, რომელიც მთელი 26 წელიწადი ემსახურებოდა ქართველი ერის მზიანი დღის გათენებას, დღეს, როდესაც ეს მზე ამოგვივიდა, თითქმის მიგდებულია გამოწურულ ლიმონის ჩენჩოსავით... დღეს თითქო ეს ცეცხლიც°ალარ აქვს, სხვებს რომ გულს უხურებდა, ხოლო უკვე თავისუფალ სამშობლოს მზის ქვეშ ნებივრად მოკალთებულთა არც კი ახსოვთ ვინ იყო შალვა დადიანი!.

ნუ თუ მარტის 17 მაინც არ მოიგონებენ ამ ნაამაგდარ მოღვაწეს?—ამ დღეს ხომ გვემშვიდობება და, მრავალ შრომისგან მოქანცული, დასასვენებლად აპირებს წასვლას! მით უმეტეს, რომ ამ დღეს ის ახალ თავისს ორიგინალურ პიესას გვიჩვენებს.

ნუ თუ, ნუ თუ ყრუდ დარჩება ქვეყანა ჩვენი!?

## II სოფიო რომანიშვილი—დგებუაძისა.

ვის გახსოვთ ავჭალის ქუჩაზე მოთავსებული კიკნა „თეატრი“,—დღევანდელი კი არა, წინანდელი, ვის გახსოვთ, როცა საზოგადოდ ქალი სცენისმოყვარენი სანთლით საძებარნი გვყავდენ, როცა ძლივს მოვიახლოვეთ კატო წულუკიძის ასული, ან. ჩაჩიბაია, მარიამ დემურიასი... როცა ჩვენ ხელ-პირ გარუჟული ქარხნის მუშა—სცენის მოყვარეთ აგრე რიგად არავინ გვეკარებოდა?! .

ეს იყო ამ 20—25 წლის წინად.

და, აი, სწორედ ამ დროს მოგვევლინა რომანიშვილის ასული სოფიო, აწ მეუღლე დგებუაძისა, დაი სოსო რომანიშვილის...

ხალხისგან სცენის მოყვარეთა გამასხარავება, სივიწროვე, სახალხო თეატრის ახალი ტრადიციების შესაქმნელი მუშაობა, ყოველი მონაწილისგან სცენაზე თამაშის გარდა სუფლიორის ხელით დეკორაციების დაკიდება, ავეჯის შოვნა და მრ. სხ. ქალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაკლებობის გამო ყოველნაირი როლის ასრულება, გარდა ამისა სარეპეტიციოდ—კერძო სახლის გაქირავება, ხარჯი... ვინ მოსთვლის?..

დღეს რომ არა თუ მდაბიო ხალხი, მოწინავე საზოგადოებაც რომ სახალხო სახლში სტკბება, ამ სახალხო სახლის საძირკველში ერთი თვალსაჩინო ქვის ჩამგდები სოფიოც იყო...

ჩვენი დემოსი რომ შეგნებულ დემოკრატიათ შეიქმნა, თვითცნობიერების გზას დაადგა, სამშობლო მწერლობა და ხელოვნება შეიყვარა, თვისი მკერდით თვითარსებობა მოიპოვა, თავისუფლების დროშა ააფრიალა და საქართველოს დამოუკიდებლობას შეგნებით იცავს,—ამაში სოფიოც არის მონაწილე...

სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა წრეს განუზრახავს ამ მოკლე ხანში სოფიო რომანიშვილს 20 წლის მოღვაწეობის სახსოვარი საღამო გაუმართოს.

ამაზე უკეთესს ვერას მოიგონებდა. პირველი შემთხვევაა, რომ სცენის მოყვარე ქალს იუბილეს უმართავენ.

სოფიო რომანიშვილის საპატივისცემო საღამო მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად აღიზარდა ჩვენი ხალხი,—წინად თუ სახალხო მუშაკ—სცენის მოყვარეს ხშირად ტალახით და ნარეკლებით უფენდენ გზას, დღეს ია-ვარდით მოუფენენ.

და, დაე, სოფიო რომანიშვილის მოღვაწეობა და ამ ნამოღვაწევის შეფასება სახალხო სცენის ყველა მუშებს სულიერ-ნივთიერ მძიმე განცდის წუთებში უქრობელ კანდელად მიუძღოდეს წინ...

ვაშა ამ ხალხთ—შალვა დადიანსა და სოფიო რომანიშვილს, რომელთაც თვისი ძალ-ღონე ხალხის გათვითცნობიერების სამსხვერპლო ზვარაკად მიიტანეს...

**იოსებ არიმათიელი**

# ქართლის გლოვა

ზარსა ჰრეკენ, გლოვის ზარსა:
საქართველო სტირის ქართლსა.
ქართლის დედა მწუხრის ცრემლით
ნანგრევებში სძებნის მკვდარსა!..
დედა ტირის, შვილს დაეძებს,
დანაკარგი კიდევ არ სჩანს...
დიდი, მცირე, ქალი, კაცი
უკუღმართ ბედს ცრემლებში ჰბანს!..
ზარსა ჰრეკენ, გლოვის ზაზსა:
საქართველო სტირის ქართლსა!..

**ჩამორჩენილი**

# განცდათა პარნასი

## IV

### სიცოცხლის დღენი

I

ნორჩი სიცოცხლის ყვავილები ნაზად, ეშხით იშლებოდენ.

ორივე სიჭაბუკის გარიჟრაჟზე და ჟამთა დასაწყისის პირველ გაზაფხულზე უტყუარ გრძნობით სიყვარული ჰიმნებს უგალობდენ ერთმანეთს.

— ქვეყანა ჩვენი სულისა და გულის ფიანდაზია, მზე ჩვენი პირველი სიყვარულის მაცისკროვნეპელი.

ეტყოდა ქალი.

— ყველა არსნი: ხენი, კლდენი უტყვნი და მეტყველნი ჩვენ გვიცინიან...

იტყოდა ვაჟი.

მათ წინ არე-მარე უჩვეულო სურათებად იშლებოდა.

იყვნენ ადამიანები—მათ ამუსიკებულ სულს დევნიდენ.

ღვთიურ ცეცხლის პატარა ნაპერწკლების ციალი ვერ აეტანათ.

თვალს ვერ უმაგრებდენ.

— ჩავქოლოთ! არ გვინდა! ნუ მივცემთ სიცოცხლის ნიადაგს.

სისინი ყრუ იყო.

სიყვარულის გრძნობა ძლიერი გამოდგა.

— წავიდეთ სადმე შორს, მთვარეზე გადავასახლდეთ, ვარსკვლავები მცველად მოგვევლინება.

— არა, ზღვის ტალღებში შევცურდეთ! ჩვენი სიყვარული ისე წმინდა და სიწრფელით მსუბუქია, რომ არ ჩავიძირებით.

მაგრამ ისევ ძირს იყვნენ.

ისევ ჩუმი, ათას-წლოვანი ტყე იყო მათი მფარველი, ყოველი ბუჩქი მათი პაემანის უსიტყვო დარაჯი.

— მოდი ჩავეკრათ ერთი მეორეს!.. დაე, წუთებმა შექმნას საუკუნე. ტანჯვამ და დევნამ მოგვანიჭოს სულის სიმტკიცე.

— ჩვენ ვერვინ დაგვაშორებს!..

და იწერებოდა რომანის მშვენიერი ფურცლები.

იქარგებოდა მოგონებათა ფერადი ფოთლები...

და ორი სული მჭიდროთ ინასკვებოდა.

II

შეერთებულნი, განვლილი ალმაფრენით მოღლილ-მოქანცულნი, სიყვარულის სტიქიურ სრბოლაში გამოწრთვნილნი აგრძელებდენ ღარიბ ცხოვრებას.

სიღარიბეს ჩრდილავდა მოგონებათა სურათები. არსებობისთვის შრომა მათ დილა ადრიან აშორებდა ერთი-მეორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სალამოთი დალლილ-დაქანცულნი მოდიოდენ ღარიბ ჭერ ქვეშ.

— მოდი.. ჩავეკრათ ერთი მეორეს! ნუ თუ ჩვენთვის არ არსებობს ტრფობა, ალერსი?!

— მოდი!—და ეკვრებოდენ ერთი მეორეს.

— კარგი, დრო გადის, დავიძინოთ დილას ადრე უნდა წავიდეთ.

— ღმერთო!

— შორდებოდა ორი მოლლილი, მაგრამ მხურვალე ბაგე ერთი მეორეს!

ისევ შრომა, ყოფნის მძიმე სევდა.

და ხანგრძლივი ლოდინი...

III

მოხუცნი, თეთრი თმით მოსილნი ნაოჭიანი სახით შესცქერიან ერთი მეორეს.

— რანი-ვართ?

იწყებოდა მგლოვიარე საუბარი ამა ქვეყნის წუთიერებაზე.

— მალე დავიხოცებით. .

სიჩუმით ანიშნებდენ ოთხი ცრემლიანი თვალი ერთი მეორეს.

— გახსოვს?.. და იფურცლებოდა მოგონების წიგნი.

კითხულობდენ მშვენიერ მინიატიურებს.

— მე რომ...

და ახლდებოდა ესკიზები.

— წავიდეთ, ვნახოთ ნაცნობი ადგილები.

წავიდნენ... ტყე ისევ ძველი სახით გამოიყურება.

— სად არის ჩვენი ბუჩქები?

— აქ არ იყო!

— ეხლა არ არის, გამხმარა.

— ახალი ამოსულა.

— ძველი?

— ნიადაგს შეერთებია.

და ორ ნაოჭიან სახეს ცრემლები ვერცხლის მძივებად აეკინძენ.

— ფრინველნი აღარ გალობენ.

— გალობენ, მხოლოდ ჩვენ არ გვიგალობენ.

— წავიდეთ... დავიღალე...

— წავიდეთ...

და ორი აჩრდილი ნელა მიდიოდა ვიწრო ბილიკზე...

ღამდებოდა...

ქ. გერგეხელი



# რომანსი

თუმც ზამთრის სუსხმა გამიხმო
ვარდი უჭკნობი გულისა,
რა უყოთ, შენ ხომ ჩემთან ხარ
კავშირო—სიყვარულისა!..

მე თუ მოვკვდები, არ ვჩივი
ჩემ ტანჯულ ბედის წერითა,
ოღონდ შენ დასტკბი, ლამაზო,
მზისა და მთვარის ცქერითა!..

ა. კლიმიაშვილი

# თეთრი ზამბახი

შენს უხილავს, მშვენიერ ბაღჩაში სდგას
ყელ-მოღერებული ჰაეროვანი
თეთრი ზამბახი!..
შეჰხარის, დაუსრულებლად შეჰხარის
თავის სისუფთავეს, სინაზეს,
უცოდველობას!..
შენც დღე მუდამ უვლი მას:
დილით ვნების ღიმილით არხევ, სალამოთი კი—
სინანულის ცრემლს აპკურებ
მის გამჭვირვალ, ნაზ ფოთლებს.
ნება მომეცი, ჩემო ცუგრუმელავ,
მოვწყვიტო იგი, ვიდრე ქორფაა, ახალგაზრდა,
სურნელოვანი.
ვიდრე შემოდგომის სუსხი არ მიჰკარებია
დამაზრობელ, ბოროტ ფრთებით...

შენს უხილავს, საოცნებო ბაღში
სდგას ყელ-მოღერებული
თეთრი ზამბახი!..
მომეც, მომეც ნება, ჩემო კარგო,
მოვწყვიტო იგი...
დავწვა უმანკო ლტოლვით,
გიჟურ სურვილით ავათრთოლო
მისი არსება.
ვაჩვენო ახალი ცხოვრება—
საიდუმლო ქვეყნის არარაობისა!..
მაშინ იგი ცოდვიანი კვლავ იცოცხლებს,
უკუ აგდებს სიცოცხლის ხან-მოკლეობას;
ჩემთან ერთად გადაჰხსნის დაფარულ
საიდუმლოს ფარდას,—
გაიგებს ცხოვრებას!..

შენს უხილავს, ლამაზ ბაღჩაში ჰყვავის
სურნელოვანი თეთრი ზამბახი!..
მისი სიცოცხლე ხან მოკლეა!..
მაშ ნება მომეცი, ჩემო ოცნებავ, მოვწყვიტო იგი—
თორემ!..
მალე შემოდგომის სუსხი დააზრობს მას
და, თვით ინანებ—
ინანებ რომ არ მომაწყვეტინე!..

არჩილ მაჭავარიანი



**პეტრე პავლეს ძე გელეიშვილი.**

(ყარიბი)

ცნობილი პუბლიცისტი, ძველი პოლიტიკური მოღვწა, მიწათმოქმედების მინისტრის ნაამახანაგარი, რესპუბლიკის სამეცნიერო არქივთა დეპარტამენტის გამგე,— მისი ახალი შრომის „Красная книга“-ს გამოსვლის გიმო.

# წითელი წიგნი

ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო.
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო!..

**ილია ჭავჭავაძე**

ჩვენმა მეზობლებმა,-მე ვამბობ სომეხთა ოფიციალ ნაწილზე, რომელიც ჩემულობს ერის მესვეურობას,—ალბად კარგად იცოდენ ზემორე სიტყვების აზრი, რომ როდესაც იარაღის ჟღარუნით აქ ვერაფერს გახდნენ, ხელი მიჰყვეს თავის ჩვეულებრივ ხერხს: უცხოთა შორის ენის სისინს,—ჭორიკანობით სავსე წერილებით ევროპაში ჩვენს საწინააღმდეგო მოქმედებას, ქართველი ერის დამცირებას და თვის უბედურების მიზეზად ქართველი ხალხის მესვეურთა გამოყვანას, ის-კი დაავიწყდათ, რომ

„პატიოსანთ მტერთა შორის
მოციქული ნამუსია“.

უნამუსობის გზაზე შემდგრებმა, საერთაშორისო უფლების უცნობებმა და არშინ-გირვანქის ფსიქოლოგიით მოსილებმა ის ვერც კი წარმოიდგინეს, რომ მეზობლის ჩამწიხლავს ვერაოდეს ელხინების, სხვისი სამარის მთხრელი თითონ ჩავარდების სამარეში და რომ... ერთი სიტყვით უხსოვარის დროიდან მეზობლურად მცხოვრებ ერთა შორის, თითქმის სისხლით დანათესავებულ მეზობელთ შორის შუღლის ჩამოგდება – უბედურებაა, დიდი უგუნურებაა!..

ალბად ყველას მოეხსენება უკვდავ ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი და სომეხთა მეცნიერნი“, შეურყეველი საბუთებით რომ გვიმხელს სომეხთა ცრუ მეცნიერთ და პუბლიცისტ მოღვაწეთა სიყალბეს, ქართველთ წინააღმდეგ მიმართულს... გვეგონა, ეს წიგნი ბევრს რამეს ასწავლიდა ყველა იმათ ვისაც სიბნელის ბინდი აკრავს თვალზე და სიცრუით უნდა ლელოს გატანა... მაგრამ არა! არა თუ ამ წიგნმა, რუსეთის დიდმა რევოლიუციამაც ვერ გამოაფხიზლაჩვენი მეზობლების შოვინისტი-მესვეურეთაბი და ჯერ იყო ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ათას გვარი ყალბი ცნობებით მთელ ევროპაში ჩვენი ერის საწინააღმდეგო ქსელები გააბეს, ბოლოს ადგნენ და ამ ყალბის ცნობების კრებული რუსტოვში გამოსცეს „წითელი წიგნის“ სათაურით, რომელიც სომეხთა უბედურების მიზეზად, სხვათა შორის, ქართველი დემოკრატიის მეთაურთ აღიარებს ..

მაგრამ შუბი ტომარაში არ დაიმალა და წვერი ამოჰყო!—მოვიდა სეტყვა—დახვდა ქვაო,—სწორედ ასეთ ქვად დაჰხვდა ამ დღეებში თბილისში გამოსული ცნობილ პუბლიცისტის ყარიბის „წითელი წიგნი“ (რუსულ ენაზე—Красная книга).

ჩვენ არ გვახსოვს სხვა რომელიმე წიგნი, ილიას „ქვათა ღაღადის“ შემდეგ, ასე მიუდგომელი და შეურყეველი საბუთებით სავსე... წიგნის ფასს კიდევ ის უფრო აორკეცებს, რომ იგი დაწერილია არა რომელიმე შოვინისტ-ნაციონალისტისაგან, არამედ ცნობილ ინტერნაციონალისტის კალმით...

წიგნში ისტორიული სინამდვილით აღნუსხული და მიუდგომლად გაშუქებულია სომეხთა სარევოლიუციო მოღვაწეობა ოსმალეთში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და სომეხთა საქციელი,—კვალ-და-კვალ განხილულია კავკასიის ერთა უკანასკნელი სამი წლის ცხოვრება-ურთიერთობა, პოლიტიკურ-სოციალური ცვლილებანი, გაშუქებულია ქართველ-სომეხთა ომიანობა, ქართველთ ვითომდა გამცემლობა, ლტოლვილთა საკითხი, საზღვრები და მრავ. სხ.

წიგნი დაწერილია მშვენიერი და ნათელი სტილით, ყოველი საკითხი ჩამოგვირისტებულია... მაგრამ ნაკლიც აქვს: ავტორი თითქო ძუნწობსო, ბევრი რამ უთქმელი რჩება... და ეს ალბად იმიტომ რომ სჯერა—ჩხუბის დროს ისეთ რამეს ნუ იტყვი, რაიც შერიგების დროს გაგაწითლებსო... და ჩვენ—კავკასიის ერნი, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შევრიგდეთ!..

ჩვენი მიზანი არ არის ამ წიგნის დაწვრილებითი განხილვა,—ყველა, ვისაც სურს ჭეშმარიტების გაგება, შეგნება ჩვენი და სომხების ურთიერთობისა, ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხოს... აუცილებლად საჭიროა, ეს წიგნი გადითარგმნოს არა მხოლოდ ევროპიულ ენებზე— ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და სხ.,—სადაც სომეხთ კაციჭამიებმა თვისი ყალბი „ისტორიულ-მეცნიერული“ ქსელები გააბეს, არამედ ქართულად და სომხურადაც, რათა ამ ორივე ერის მდაბიო ხალხმა, დემოსმა, გაიგოს ვინ არის ის ბოროტი სული, ის კალმის ავაზაკი, რომ კეთილმეზობლურ ცხოვრების წყაროს აგრე ამღვრევს...

და რაც უფრო ადრე და მალე გამოიჩხრიკება ნამდვილი ბოროტების სათავე, იმდენად უფრო ადრე და მალე გამოგვიშუქებს ძმობა-ერთობის მზე...

ამ წიგნით ნათლად წარმოგიდგებათ ის უმართებულო, მწერლობის და ისტორიის შეუფერებელი ომი და ქვებუდანობა, რომელსაც ბ-ნნი ჩალხუშიანნი და ძმანი მათნი აწარმოებდენ საქართველოს წინაალმდეგ.

რამოდენიმე წლის განმავლობაში იგინი სთხრიდენ საქართველოს უცხოელთა თვალში, ათასნაირ ცილს სწამებდენ, მაგრამ... უცებ კატა გამოთხარეს ყარიბის მშვენიერი „წითელი წიგნის“ სახით...

დაე, ისიამოვნონ!..

ეს წიგნი კიდევ ერთხელ ფარჯასა ჰხდის ჩვენი დამოუკიდებლობის მტრების სულის კვეთებასა...

ქართველმა ჭეშმარიტმა მწერალმა ჯერ კიდევ ილიას სიტყვით იცის, რომ

ამოწვდილს ხმალსა მტრისასა
წინ მიაგებე ფარიო.
დროზედ ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო!

სწორედ ასეთი ფარია ბ-ნ ყარიბის „წითელი წიგნი“ და განმეორებით ვურჩევთ ყველას ამის წაკითხვას.

წიგნი გამოცემულია „ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის“ მიერ. დაბეჭდილია საუცხოო ქაღალდზე, მოზდილი ფორმატისაა, შეიცავს 260 გვ. და ღირს 100 მან.—თუ სომხურად და ქართულად გამოიცემა, სასურველია, რაც შეიძლება, ნაკლებ ფასში გამოიცეს, თუმცა ფასი ძვირი არ არის...

დასასრულ ვისურვებთ ამ წიგნის კაბადონები მრავალთ გადაეფურცლოთ და შეესწავლოთ...

**იოსებ არიმათიელი**



ო. შ. ოლეკო—მირზაშვილის ასული
მსახიობქალი (შარჟი)

## ტრიოლეტი

(ძველ რვეულიდან)

ჩემი ცხოვრება პოემაა უძვირფასესი,
დავინჩის ხელით დახატული, მიმოკვანთული;
ნერონის თვალით ღამე ბნელში მიმონათესი,
ჩემი ცხოვრება პოემაა უძვირფასესი!..

ავი განზრახვაც არის წმინდა, სუფთა ქართული,
ყველასთვის მარგი და შესარგი ტურფა მხარესი!..
ჩემი ცხოვრება პოემაა უძვირფასესი,
დავინჩის ხელით დახატული, მიმოკვანთული!..

**კოკი ებრალიძე**



საოპერო მსახიობი კურბატოვი
სპოლეტი,—ხელით ნახაზი



**მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმართა ერთი ჯგუფი**

ზევით მარცხნიდან: ი. ქორიძე, ა. რუხაძე, ი. რამიშვილი (I სახ. სათათბ. დეპუტატი), დ. ქარცივაძე—მეჩონგურე და მ. ორმოცაძე; დაბლა მარცხნიდან: კ. მასხარაშვი, პ თოთიბაძე და ს. კვაჭაძე.

(გადაღებულია 1908 წ. მეტეხის ტაძართან)



**სილიბისტრო ჯიბლაძე.**

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი უპირველეს-უხუცესი დამაარსებელი-მოღვაწეთაგანი. ეხლახან მძიმე ავადმყოფობა გამოიარა, ამ ჟამად უკეთაა.

# მიასვენებენ...

მიასვენებენ... და მიაქვთ კუბო, ხალხი აცილებს დაღონებული!
მიასვენებენ .. სადაც მას უკვე სამარე ელის პირ-დაღებული,
მიასვენებენ... მუსიკა უკრავს დამაღონებელ სევდიან ჰანგებს!..
კაცის გაჩენას მოსთქვამს, დასტირის, მწარე ხვაშიადს ჰაერში აბნევს!

ადამიანი არად ქცეული, წუთი სოფლისგან გამეტებული!
გუშინ აღსავსე ჯან-საღ სიცოცხლით, დღეს უკვე მკვდარი, გაფითრებული!
გუშინ მოძრავი, ენამეტყველი, დღეს სამარისკენ მიეჩქარება!
იყო, წარვიდა, მეტს აღარ მოვა, იგი შავ უფსკრულს მიეფარება!

სიცოცხლის წიგნი მან უკვე განვლო, აქ ვერ იპოვა მან სიხარული,
მისი სიცოცხლე ხომ ტანჯვა იყო და ტანჯვაშივე დალია სული...
და მიაქვთ კუბო... ხალხი აცილებს... უსიტყვოთ მწარეთ დაღონებული,
იქ მას სამარე მიელოდება, სამარე უნდო პირ-დაღებული.

მიასვენებენ!.. მუსიკა უკრავს დამაღონებელ სევდიან ჰანგებს,
კაცის გაჩენას მოსთქვამს, დასტირის, მწარე ხვაშიადს ჰაერში აბნევს!..

**დ. ქანჭათელი**



**მგოსანი კოტე მაყაშვილი**

ავტორი „ეშმაკი საქართველოში“-ს და სხვა ნაწარმოებთა, თავმჯდომარე მწერალთა კავშირის, ხელოვნებათა ცენტრის და სხ. (ამ ახლო ხანში მწერალთა კრების მოწვევის გამო)

# მიხაკი

(დასასრული იხ. „თ. და ც.“ № 9)

IV **ჩეკკო, სანტინი, იდა, ჯულიო, ნინა**

(ნინამ კარი გაუღო. ჩეკკო და სანტინი შემოდიან. ქუდს არ იხდიან)

**ჯულიო** თქვენა ხართ?

**ჩეკკო** სალამი და კაი მადა ქალბატონ იდას.

**სანტინი** გვეგონა, ვახშამი გათავებული გექნებოდათ,

**იდა** (ფეხზედა დგას, კაბას ისწორებს, თმებს, დიდებს შეიკრავს) დაიხურეთ ქუდი (დაიხურავენ) დაბრძანდით (სკამებს დაუდგამს, სანთელს აანთებს)

**ჯულიო** (მივა თავის სტუმრებთან, ჩუმად) პასკელზე ხმა არ ამოიღოთ, არც შეშაზედ.

**იდა** (ჭიქებს წყალი გამოავლო) ხომ მიირთმევთ? (დაუსხამს ღვინოს და მიართმევს)

**ჩეკკო და სანტინი** გაცოცხლოთ, გადღეგრძელოთ (დალევენ და ჭიქები ხელში უჭირავთ)

**ჩეკ.** საუცხოვოა, სადა ყიდულობთ?

**იდა** სიცილიურია; ხომ კარგია?

**ჩეკ.** ნექტარია. მაისის ვარდივითა ყვავით, ქალბატონო იდა.

**იდა** ჯულიო კი ჩამციებია, ფერმკრთალი ხარ დღესაო.

**სანტ.** ჯულიოს თავისი საბუთი ექნება. იცის რასაც იტყვის. ყმაწვილი ცოლ-ქმარი... (სიცილით) ნათლობაში ხომ მიგვიწვევთ?

**იდა** ნეტავი აგრე!

**ნინა** (გაჩუმებულია. ბრაზით წამოხტება, თითქო უნდა სთქვას, ეგდა გვაკლდაო, და მეორე ოთახში გავარს გაირახუნებს)

**ჩეკ.** ჯავრობს, ჯავრობს ქალბატონი ნინა.

**ჯულიო** ქმარი უნდა.

**ჩეკ.** რაღა დროს...

**სანტ.** მაგას ნუ იტყვი. დღეს, ჩემო ძმაო, მარტო ხნიერი ქალებილა თხოვდებიან. ქალი, შენ ხარ

ჩემი ბატონი, ლელვია, ლელვი: რაც ხანი გადის, უფრო მწიფდება.

**ჟულიო** (დაცინვით) ეგეც მწიფე ლელვი. რატომ არ ირთავ?

**სანტ** მე წესოს არ ვეწევი.

**ჟულიო** (პაუზა) ხუმრობა იქით იყოს და სიგარა ხომ არა გნებავთ? ტოსკანურია. (ამოიღებს ჯიბიდან და შესთავაზებს. თითოს აიღებენ, შუაზე გადასტეხენ, ნახევარს მოუკიდებენ, ნახევარს ჯიბეში იგრავენ, მადლობას არ უხდიან)

**იდა** ჟულიოს წასაყვანად მობრძანდით? (შიშით შესცქერის, გაწითლდება) ჟულიო დამპირდა, ამაღამ არსად წავალო.

**ჟულიო** (მკვახედ) სტყუი! მე გითხარ, ამაღამ ადრე მოვალ მეთქი. (პაუზა. იდას ტირილი მოერევა, ადგება, აქეთ-იქით მიაწყდება, მერმე ფანჯარასთან მივა)

**ჟულიო** (მივარდება) სად მიხვალ?

**იდა** მე? არსად (ხელს დაუჭერს· უნდა იქით მიიყვანოს, რადგაც უთხრას) ჟულიო, გენაცვა, ნუ წახვალ. ამ საღამოს ჩემთან იყავ. ერთი საღამო მე მაჩუქე. რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები შენს მოლოდინში. ქუჩაში გამვლელი ყველა შენა მგონიხარ. გულის ფანცქალით შევცქერი კარებს, ან ეხლა შემოვა, ან ეხლა მეთქი. დარჩი, ჩემო ჟულიო. უშენოდ წამებაა ჩემი სიცოცხლე, შენც კარგად იცი, და მაინც არ მიბრალებ.

**ჟულიო** კარგი, კმარა! გვიყურებენ, სხვა არა იყოს რა! პატარა ბიჭი კი არა ვარ, რომ დავეკითხო ვისმე — ნება მიბოძეთ ცოტა გავისეირო მეთქი.

**იდა** მაგ კილოთი ნუ მელაპარაკები... მახვილივითა მხვდება გულში ყოველი შენი სიტყვა... შეხე, როგორ მიცემს გული. (უნდა გულზე მიიდოს ჟულიოს ხელი. ჟულიო ხელს გამოსტაცებს)

**იდა** (დაბარბაცდება) ჟულიო, ჟულიო (ჟულიო ბრაზმორეული შესცქერის, იდა დაეცემა დოგინზე და ტირის)

**სანტ.** (ვითომ არაფერი გაუგონია, ან დაუნახავსო. ჟულიოს) ქალების ბენიამინი ხარ. სწორედ (დიდინებს)

კოხტა ქალის ლამაზ თვალს

კოცნა რგებს და ცრემლი ჰკლავს.

**ჩეკ.** გაჩუმდი! ტირილის დროს სიმღერა უბედურების მომასწავებელია.

**სანტ.** უბედურებისა? ვისთვის? მტირალისთვის, თუ მომღერალისთვის?

**ჟულიო** (ქუდს იღებს) მივდივართ?

(ჩეკკო და სანტინი გადიან

**იდა** (კარებში დაეწევა) ჟულიო, მომისმინე...

**ჟულიო** რა გინდა ჩემგან?

**იდა** მაშ მიდიხარ?

**ჟულიო** როგორც ხედავ.

**იდა** ის მაინც მითხარ...

**ჟულიო** რა უნდა გითხრა?

**იდა** იქნება გინდა რამე? ემაგათ... მეგობრებს მისდევ. ხუთი მანეთი კიდევა მაქვს (გულის პირიდან ამოიღებს და შეაძლევს)

**ჟულიო** (ზიზღით) დღეს არა!

**იდა** რატომ, ჟულიო? (ჟულიო გავა, კარს გაიჯახუნებს. სანტინის ხმა ისმის:)

კოხტა ქალის ლამაზ თვალს

კოცნა რგებს და ცრემლი ჰკლავს...

**იდა** (დაჯდება მაგიდასთან და ქვითინებს)

V. **იდა, ნინა,** მერმე **ჯიჯი.**

**ნინა** (შემოვა) წაშავდნენ?! რა გატირებს, ქალო? (მოეხვევა, მიუალერსებს). რითი ვერ შეეჩვიე? შენი ბრალია, შენვე აფუჭებ იმ ბიჭსა. შენ ფულს აძლევ, ის ქეიფობს. ვითომ და რატომ არაო? ნუ ტირი, გენაცვა. მთელი დღე ხელსაქმეს უზიხარ. მოდი, შეჭამე რამე. ეგეც თქვენი სიყვარული! საყვარელი კი არა ძიმწარეა, შხამი! ხომ არ მოკვდები იმ გულმკვდარისთვის (საჭმელს აწვდის).

**იდა** (თავს აიღებს, ამოიოხრებს).

**ნინა** რამდენი გამოგართვა?

**იდა** არაფერი, არინდომა. უცნაურად მიყურებდა. სიგარების მოსატანად რომ გაველ, აქ რაღაცა მოხდა, რაღაც მიუვიდა.

**ნინა** ფთხილად იყავ, იდა, ჯიჯის გამო მოხდა, რაც მოხდა.

**იდა.** ჯიჯის გამო? (თვალებს იწმენდს) იქნება ეჭვიანობს?

**ნინა** (სჭამს) მგონი, რომ აგრეა. თუ ეჭვიანობს, ცოტა ყურადღებაც უნდა მიაქციოს თავის ცოლს, მაგრამ არა. გაყინულა ყველაფერი. რა არის ჩვენი ცხოვრება. შრომა და ცრემლი, შრომა და ტანჯვა. (ღვინოს დაისხავს, მერმე სუფრას ალაგებს. კარს არაკუნებენ).

**იდა** ვინ არის?

**ნინა** ვისაც თავის დღეში ზარი არ უნახავს. რას არაკუნებს? (კართან მივა) ვინ არის?

**ჯიჯი** მე გახლავართ, ჯიჯი.

**ნინა** (მკვახედ) რა გინდა? (კარს აღებს).

**ჯიჯი** (მოკრძალებით) ერთი სიტყვა... ერთი წამით... გვიან ხომ არ არის?

**ნინა** იცი, ზარი რა არის?

**ჯიჯი** გვიან არის და მეშინოდა, ზარით არ შევაწუხო მეთქი ოდნავ დავარაკუნე... ხელით. ხმა რომ არ გაგეცათ, უკანვე წავიდოდი.

**ნინა** ძალიან კარგს იზავდი. რა გინდა, რისთვის მოეთრევი? შენ აქ საქმე არა გაქვს რა გაიგეს.

**ჯიჯი** (უკვე შემოვიდა) ქალბატონ იდას ვახლავარ.

**იდა** საღამო მშვიდობისა.

**ჯიჯი** (მოკრძალებით, ჩუმად) გიტირნიათ, ბატონო.

**იდა** არა.

**ჯიჯი** როგორ არა. სიყვარულს არა დაემალება რა და მით უფრო ცრემლი.

**იდა** (მაღლა) კმარა ეგ სისულელე რა გინდათ. რისთვის მოხვედით?

**ჯიჯი** ცუდი კი არა იფიქროთრა. წეღან რომ გამობრძანდით..

**ნინა** შენ რა იცი?

**ჯიჯი** დავინახე.. შორიდან (იდას) სალამიც კი არ მაღირსეთ. რა გაწყენინეთ? განა მე თქვენი მეგობარი არა ვარ?

**იდა** კმარა, **ჯიჯი**, კმარა! ბავშვი ხომ არა ხართ? მითქვამს და გეუბნებით—ნუ მოდიხართ, როდესაც ჯულიო შინ არ არის (წამოდგება) მითხარით, რა გინდათ ჩემგან? გინდათ, მტირალი მნახოთ?

**ჯიჯი** თქვენი ნახვა, სხვა არაფერი. მერწმუნეთ, ჩემთვის ესეცა კმარა. პატიოსანი ბიჭი ვარ, მგონი და... რავქნა, კულს მიწყლავს თქვენი ცრემლი. ციურ ანგელოზივით ლმობიერი და კეთილი ხართ და აგრე მიტოვებული...

**ნინა** (მკვახედ. მაგიდას მუშტს სცემს) პატიოსანი ბიჭი ვართო?!. ჰოდა გაიგონე. თუ მართლა პატიოსანი ბიჭი ხარ, წადი და აღარ მოხვიდე. გეყურება?! ეს ცარიელი სიტყვა კი არ გეგონოს; თუ არ გინდა უბედურება, შენთვისაც და ჩვენთვისაც წადი და ნუღარ მოხვალ! ამის ალაგას რომ მე ვყოფილიყავ, მე ვიცოდი, როგორ გადავუხდიდი სამაგიეროს.. იქნება მაშინ შეჰყვარებოდა და მარტო მწველელ ფურად არა ჰყოლოდა თავისი ცოლი.

**იდა** ნინა!

**ნინა** მწველელ ფურადა ჰყევხარ, განა მართალი არ არის? მე ვუჩვენებდი სეირს! მაგრამ ეგ (იდაზედ) —ეგ ამას ვერ იზამს.

**ჯიჯი** არც მინდა.

**ნინა** წმინდა ხარ, მარტო სულიერითა ცოცხლობ! მაშ რისთვის მოეთრევი?

**ჯიჯი** სანახავად, ერთ წამს.

**ნინა** მოითმინე, გავათავო. ჩემმა ძმამ უკვე შენიშნა, რომ სულ აქა ტრიალებ. თუ ემაგასთან მოგასწრო... გულწრფელად გეტყვი: მოჰკლავ? ჩემისთანა ბედნიერი არავინ იქნება... ორივე ხელს დაგიკოცნი. მოგკლავს?! ჯანაბას შენი თავი, დავმშვიდდებით მაინც მე და იდა.

**ჯიჯი** (იცინის, თითებით რქებს გაიკეთებს) ამისი შინია? მაშ დღეგრძელი იქნება.

**ნინა** განსაცდელში შენი დღეგრძელობაა. თქვენ თავშიაც ქვა გიხლიათ, ოღონდ. ამ საწყალ ქალს ნუ ჩარევთ შიგა. (ჯიჯი იცინის) იდა, უთხარი რამე, შენსას უფრო დაიჯერებს.

**იდა** ნინა მართალს ამბობს, ჯიჯი. აქ საცინელი არაფერია! რა დროს ხუმრობაა?

**ჯიჯი** მე არცა ვხუმრობ, თუ მართალი გნებავთ, მე იმიტომ გიახელით, რომ გულახდილად მოგელაპარაკოთ. ქალბატონო ნინა, არ შეიძლება ერთ წამს დაგვტოვოთ; სათქმელი მაქვს რამე და ეხლავე წავალ.

**ნინა** როგორც გინდა. მე გაგაფთხილე და ახლა შენ იცი (გავა).

**იდა** არა, არა! მე თქვენთან მარტო დარჩენა არ მინდა. (წამოვარდება).

**ჯიჯი** გეშინიათ?

**იდა** მეშინია ჭორებისა...

**ჯიჯი** ორი სიტყვა მხოლოდ, ორ სიტყვასა გკითხავთ.

**იდა** ჩქარა!

**ჯიჯი** ისე მელაპარაკებით, თითქო მტერი ვიყო თქვენი.

**იდა** არა, მაგრამ.., რა გინდათ ჩემგან? რას ჩამციებიხართ?

**ჯიჯი** მინდა მოგახსენოთ, რომ მე მზადა ვარ. გნებავთ დავრჩები, გნებავთ წავიდეთ. არ დაიღალეთ ამოდენა უბედურობით?

**იდა** მე უბედური არა ვარ.

**ჯიჯი** დიდი ბედნიერებაა სწორედ, თქვენი შრომით თქვენი ქმარი ქეიფობდეს?

**იდა** ტყუილია!

**ჯიჯი** და თქვენი ფულის მეტი თქვენი არა უნდოდეს რა.

**იდა** ტყუილია, ტყუილი!

**ჯიჯი** გნებავთ, დაგიმტკიცოთ.

**იდა** რა დამიმტკიცოთ? არ მინდა! არავითარი დამტკიცება არ მინდა! ნურაფერს მეტყვით! რადა მტანჯავთ. რად მეუბნებით?

**ჯიჯი** მათქმევინეთ ..

**იდა** არ მინდა, არა! ცილსა სწამებთ ჯულიოს! ჯულიოს ჩემს მეტი არავინა ჰყავს. ტყუით, ტყუით! მე, მარტო მე ვუყვარვარ და ბედნიერიცა ვარ! ფულს გართმევსო. ფულიც იმისია და მეც იმისი ვარ! მე ჯულიო არ მიღალატებს. საწყალ ბიჭს საქმე ვერ უშოვია და ცილსა სწამებენ, ცოლი აცხოვრებსო. ტყუილია, უსინიდისო ცილისწამებაა! სამარცხვინო ცილისწამებაა! (დაჯდება და ქვითინებს) არ მინდა, არ დამიმტკიცოთ, არაფერი მიამბოთ!

**ნინა** (შემოვა) ჯიჯი, წადი! მგონი, მოდის.

**ჯიჯი** (აქეთიქით იყურება იმედ მიხდილი) ერთი მიხაკი მაინც მიბოძეთ სალსოვრად.

**ნინა** (აძლევს) აჰა და გასწი! (ძალად გაჰყავს).

VI **ნინა, იდა** ჯულიო და **სანტინი**.

**იდა** რა უბედური ვარ, ღმერთო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნინა** შენი ბრალია.

**იდა** ნეტავი, შენ რაღას იზავდი?

**ნინა** სიმშილით მოვკვდებოდი. რომ გაუჭირდებოდა, საქმესაც იშოვიდა და შრომასაც შესძლებდა. ათ-თორმეტ საათს რომ საქმეში იქნებოდა და წურწურით ოფლი ჩამოუვიდოდა, ფულს აგრე ადვილად აღარ გაჰფლანგავდა. (ჭურჭელს რეცხავს. იდა ქარგავს. ქუჩაში საშინელი ყვირილი, ქალების კივილი. კიბეზედ ფეხის ხმა. იდა ფანჯარას ეცემა, ნინა კარს. ჯულიო შემოვარდება გაფითრებული, თან სანტინი.)

**ნინა** რა არის ჯულიო? რა მოხდა? (კარსა ჰკეტავს).

**იდა** ჯულიო!

**ჯულიო** (გადააგდებს გასისხლიანებულ ბებუთს, რომელიც მარჯვენა ხელში ეჭირა. ცდილობს დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ. საშინელი ღიმილით შესცქერის იდას და უახლოვდება) იდა, აი, ჯიჯიმ დაგიბრუნა შენი მიხაკი. იმას ეხლა სხვა ყვავილი ურჭვია აი აქ... შიგ გულში.

**იდა** ჯულიო, ჯულიო! ნუთუ გეგონა, რომ... დედავ ღვთისაო, წმინდაო მარიამ! შენ ხომ უწყი, რომ უმანკო ვარ... შენ მაინც ჩააგონე...

**სანტინი** (ჯულიო დუმელისკენ მიჰყავს) რა დროს ქალებია?! შენ შენი თავისა იზრუნე!

**ჯულიო** ქალებისო! ფუ, მაგათ სახსენებელს! (აფურთხებს) მართალი ხარ. უნდა ვიზრუნო რამე. კარს არაკუნებენ: გააღეთ! კანონის ძალითა გთხოვთ, გააღეთ!).

**სანტინი** ბებუთი რა იქნა? (აიღებს რეცხავს) ნაცარი სადა გაქვთ? (დუმელის ქვეშ ეძებს და იქვე მალავს).

**ნინა** (კართან) ვინ არის? რა გინდათ?

**ჯულიო** ე გული ხომ მოვიფხანე! (ქუდიდან მტვერს იბერტყავს. ნინა კარს აღებს. შემოდის კომისარი, უკან ხალხი მოსდევს, მაგრამ სანტინი წინ გადაუდობება).

**სანტინი** (ხალხს) რაო, რას მოიწევთ? თამაში გინდათ ნახოთ? (მიაწვება და გარეკავს. კარსა ჰკეტავს).

**კომისსარი** რომელია აქ ჯულიო მორეტტი?

**მეორე კომ.** აი, ეს გახლავთ. მე კარგად ვიცნობ.

**ჯულიო** დიაღ, მე გახლავართ. თქვენა გგონიათ, დაგემალებით? (ხელებს უგრაგენ. წინააღმდეგობას არ უწევს).

**ნინა** რა ქენი, ბიჭო? რა ქენი?

**ჯულიო** (იდას, რომელიც ფერმიხდილი ატუზულა კუთხეში) ამ ფანჯრიდან გასცქეროდი, განა? მთელი დღე იმას შესცქნავოდი? ხვალ ველარ დაინახავ, ჩემო მშვენიერო... ველარც ხვალ, ველარც ზეგ.

**იდა** რას მერჩი, ჯულიო? რა დავაშავე? თუ ჩემი არა გჯერა, შენს დას მაინცა ჰკითხე.

**კომის** აბა, წავიდეთ.

**ნინა** შესცდი, ჯულიო...

**ჯულიო** ჩუმად, შე უნამუსო! (კომისარს) რას მეწევით? ხომ ხედავთ, რომ მოგდევთ. (სანტინის) ჩემი და შენთვის ჩამიბარებია; რაც შეეხება ჩემს... ცოლს... მანუგეშებელს მალე იპოვის.

**იდა** (კარებში ჩაუდგება) არა, მაგ სიტყვით ნუ წახვალ, ჩემო ჯულიო. მომისმინე და ისე დამსაჯე. ღვთისმშობელს გეფიცები, სცდები! მე შენს მეტი არავინ მყვარებია, არავინ შენს მეტი... ვფიცავ...

**სანტინი** (ხელს მოავლებს და იქით წააყენებს).

**ჯულიო** მწარე სიცილით). ლამაზი ქალი ხარ, მუშტარი არ გამოგელევა. (გადის ქალებს უნდათ გაჰყვნენ, სანტინი დაიჭერს და კარსა ჰკეტავს).

VII. **იდა ნინა, სანტინი,** შემდეგ **კომისსარი.**

**სანტინი** სად მიხვალთ?

**იდა** (დაიჩოქებს) ღმერთო ძლიერო...

**სანტინი** (მხარეზედ ხელს დაადებს). ყური მიგდეთ...

**ნინა** რა დროს ლაპარაკია? ჯულიოს სარეცხი დასჭირდება, ფული, ტანისამოსი.

**სანტინი**. რა თავში იხლის ფულსა და სარეცხს? კაცი იღუპება! თავი დაანებეთ ღმერთსა და ხატებს, მოდით ვეცადოთ ვუშველოთ რამე. თქვენ, ქალბატონო იდა, გააბით კაცი მახეში და თქვენვე უნდა დაიხსნათ.

**ნინა** როგორ მოხდა? რა იყო? აქედან გამომავალი დაინახა?

**სანტინი** აქ შემოსავალი დაინახა და გარეთ ელოდა.

**ნინა** შენც იქ იყავი?

**სანტინი** მაშ სად ვიქნებოდი? ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო. ზაფრანის ფერი ედო. რატომ არ გამოდისო? რატომ არ გამოდისო, სულ იმას გაიძახოდა.

**იდა** ჩემო ჯულიო!

**სანტინი** ეგ წინად უნდა გეთქვათ. ჯიჯი რომ გამოვიდა, დაგვინახა, გაჩერდა და—ჯულიო, რა გინდაო, წაილუღლუღა. ჯულიომ ისკუპა და...

**იდა** შემიბრალეთ, შემიბრალეთ!

**სანტინი** თქვენ კი შეიბრალეთ? არ იცით, ქალბატონო, ცოდოს გადახდა უნდაო. საწყალი ბიჭი დაჰღუპეთ და...

**ნინა** რა გინდა მაგ ქალისაგან, რას ჩააცივდი? ხომ იცი, როგორ გაგიჟებით უყვარს თავისი ქმარი. იმას ხომ ვერ იტყვი, ქმარი უყვარდა და სხვაც მოსწონდაო.

**სანტინი** მით უარესი, თუ ეგ მართალია. თუ იდას იმ უბედურთან, აიქ რომ გდია, არაფერი ჰქონია, მით უარესი.

**ნინა** შეიშალა ე კაცი! რასა ბოდავ?

**სანტინი** მაშ ნათლად მოგახსენოთ? ჰოდა, უყვარდა იდას ჯიჯი, ჰყვარობდა, თუ არა, ეგ მე ჩალის ფასად არ მიღირს. იდას ბრალია, თუ ჯიჯისა, ეგეც სულ ერთია, რაც მოხდა, მოხდა. მკვდარმა ტკბილად განისვენოს, ცოცხალმა თავს უპატრონოს ცოცხალს უნდა პატრონობა. თუ სასამართლოშიც იგივე სთქვით, რაც წელან კომისართან, ჯულიოს ოცი წლით ციხეს მიუსაჯავენ.

**იდა** ოცი წლით ციხე! ღმერთმა ნუ მომასწროს!

**სანტინი** დიაღ, ოცი წლით ციხე! ეგენი მე მკითხეთ. ეხლა ჯულიოს ბედი თქვენ ხელთ არის. თქვენს მეტი იმას ვერავინ იხსნის. მიუწდომელ მთის მწვერვალის თოვლივით უმანკოც რომ იყვეთ... აბა დაფიქრდით... რად მოჰკლა? ჩემი მიზეზით? ვისი ეჭვით მოჰკლა? გეყურებათ? აქ ყოყმანი შეუძლებელია, ან ჰო, ან არა. თუ დამნაშავეთ იცნეს, თქვენი წყალობით იქნება დასჯილი, თქვენი მსხვერპლი.

**ნინა** რას როტავ, კაცო?

**სანტინი** მოითმინეთ! ვროტავ კი არა, მინდა შევაგნებინო ქალბატონ იდას, რომ ჯულიოს ხსნა მაგაზედ არის დამოკიდებული. იქნება საშინელებაც იყოს, მაგრამ სხვა გზა არა გაქვთ: კომისსარი რომ გკითხავთ, ან მსაჯული, თქვენ უნდა აღიაროთ, რომ ჯიჯი თქვენი საყვარელი იყო.

**იდა** მე უნდა ალვიარო?

**სანტინი** უნდა აღიაროთ, სთქვათ, გამოტყდეთ! ტყუილი უნდა სთქვათ, თუ ეგ მართალი არ არის. საქმე ცხადზედ უცხადესია: თუ გამოირკვა, რომ ჯულიო უსაქმურად იყო და თქვენი შრომითა ცხოვრობდა, რომ თქვენ უმანკო ხართ და ის კი... კაცის მკვლელი, ციხეში დაალპობენ. მაგრამ თუ იტყვით, რომ ჯიჯი თქვენი საყვარელი იყო, სულ რამდენიმე თვით დაიჭერენ, და იქნება სულაც გაამართლონ,— კაცია და თავის პატიოსნობას იცავსო.

**იდა** მე უნდა ვთქვა, რომ...

**სანტინი** რომ ჯიჯი თქვენთან დაიარებოდა, ხშირად მოდიოდა.

**იდა** ღმერთმა დამიფაროს! ქმარი დამიღუპეთ და ახლა გნებავთ მეც დამღუპოთ? გინდათ, თავი მომჭრათ, ქვეყანაში შემარცხვინოთ? თქვენ მეგობარი არა ყოფილხართ, არც იმისი, არც ჩემი.

**სანტინი** მაშ ვერ გაიგეთ? ან ოცი წლიწადი ციხე, ან გამართლება. ეგ თქვენზედ არის დამოკიდებული (ზარი) აგერა კომისსარი, კაცის მოკვლა შეამოწმა და ახლა აქეთ მოეშურება ფრთხილად იყავით, არა წამოგცდეთ რა. თუ გკითხათ, დიაღ თქო, უპასუხეთ.

**იდა** მაგას ვერ ვიზამ! ვერა, ვერა! მიშველეთ რამე. ნინა, ტყუილად ვთქვა, ჩემი...

**ნინა** (თავს იქნევს და კარისკენ მიდის)

**იდა** ნინა!

**ნინა** რაღა დროსია? ახლა შენ იცი. (კარს უღებს კომისსარს და ორ მის მოხელეს).

**კომისს.** თქვენი სახელი?

**სანტინი** (ქუდს მოიხდის, სკამს მიართმევს, ფეხქვეშ ეგება) დაბრძანდით, ბატონო კომისარო. თქვენც ბატონებო, თუ გნებავთ.

**ნინა** (მაგიდასა სწმენდავს)

**კომისს.** (სანტინის) საცა შენა ხარ, აქ სიკეთე იქნება რამე?

**სანტინი** თქვენი მონა-მორჩილი. ჯობი მიბოძეთ, ბატონო, მე დაგიჭეროთ, მანამ სწეროთ.

**კომისს.** (დგას, უბის წიგნში სწერს). შენ გიცნობ. (ნინას) თქვენა?

**ნინა** ჯოვანნინა მორეტტი.

**კომისს.** რომელია მეუღლე?

**იდა** მე გახლავართ.

**კომისს.** თქვენი სახელი?

**იდა** იდა მორეტტი.

**კომისს.** ვისი ქალი ხართ?

**ნინა** სალვატორ და ჯუდიტტა ბიანკინისა.

**კომისს.** მაშ თქვენ მოკლულისა საყვარელი ხართ?

**იდა** (ხელებს აიქნევს, თითქო უნდა მოიგერიოს რამეო. სანტინი ისე დგას, რომ კომისსარმა ვერ დაინახოს დე იდას ემუქრება)

**კომისს.** მიპასუხეთ, თქვენ საყვარელი ხართ იმ კაცისა, რომელსაც თქვენმა ქმარმა აქ მოასწრო და მოჰკლა?

**იდა** (თავს აიწევს) დიალ,.. დიალ... მე საყვარელი ვარ (წაბარბაცდება, ნინა გულში ჩაიკრავს).

(ფარდა)

**ივ. მაჭავარიანი.**

# ცინიზმი პოეზიაში

არ არის კარგი, როდესაც ადამიანს, ან თუგინდ სხვა რამეც იყოს, მხოლოდ ცალ-მხრივად შეეხები და მისი სუსტი მხარეების შეფასებას მიზნათ დაისახავთ. მაგრამ ამ უხერხულობიდან დავით გურამიშვილს გამოვყავართ: „ავს თუ ავა არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქვათ“.

დიდათ გასახარელია და თავმოსაწონიც, რომ ასეთს არაჩვეულებრივ დროს ამდენი სხვა და სხვა ნაირი ჟურნალ-გაზეთები გამოდის.

გამოჩნდენ პოეტ-მწერალთა ჯგუფები თავისებური სხვა და სხვა მიმდინარეობით და რწმენით; ყველა მათგანმა საკუთარი ჟურნალი გამოაჩინა და თავის პიროვნების საილუსტრაციოდ ლექსები და მოთხრობები მოათავსა.

ხელოვნება აბსოლიუტურად თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ ის რაღა ხელოვნებაა, თუ ის თავის საკუთარ ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მას დაკარგავს და ხრამში გადაჩეხილი სხვისი სამადლოთ ამოსათრევი გახდება; ხელოვანი უკეთ უნდა სცნობდეს თავის თავს, ვინემ გარეშე მაყურებელი; მან თავის თავის დაფასება შეუმცდარად უნდა იცოდეს.

ხელოვანს ნება აქვს რაზედაც უნდა სწეროს, რაც უნდა ისა სთქვას; ხელოვანისთვის ოცნება და სინამდვილე, ავი და კარგი, ცა და დედამიწა—ერთი და იგივე ხელწამოსაკრავი მასალაა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელოვანი მარტო თავის ჟინის მოსაკლავად არა სწერს, რომ შემდეგ დაუფიქრებლად საზოგადოებისკენ გადმოისროლოს; მისი ნაწარმოები უსათუოდ საზოგადოდ და მისი საწონ-საზომიც აქვეა გამოჭრილ-გამოანგარიშებული; მაშასადამე ხელოვნების მსახურ საზოგადოებასაც კარგად უნდა იცნობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვანს თავისი პირმშო დაბადების პირველ დღესვე შემოაკვდება ხელში უზიარებლად ან და უგვალოდ დაეკარგება ქვეყნის ორომტრიალში.

აი ამ მხრივ მცირედ განვიხილოთ ჟურნალი „შვიდლოსანი“ № 2—3. პირველსავე გვერდზე პირველი ლექსი გრ. რობაქიძისაა—ამორძალი ლონდა. (თარგმანებს არ ვეხები). ეს ლექსია, რომ ტონს აძლევს და სხვა დანარჩენი ლექსებიც ბოლომდე ამის გამოძახილია. ამიტომ საჭირო არ არის მათი სათითაოდ გარჩევა-დაფასება. მე მგონია ამ პოეტებს, რომლებმაც ასე თამამად გადალახე პოეზიის ნაპირები, ყველას ერთი თავი აბიათ, ერთნაირად აზროვნობენ, ერთნაირად სწერენ და მართლაც, მოიტაცებენ სადღაც მშვენიერ სურათს, წაუსომენ მერს და აი ეს ახალია—ის ძველი იყო და მაშასადამე უვარგისიც. შემდეგ ამ სურათს ერთი მეორეს ჩამოართმევენ და ყველა თავისად წარმოუდგენს საზოგადოებას—ასეთი უნდა ახალი ხელოვნება, შენ რა გესმისო. შემდეგ კიდევ ამავე სურათს გაამიშვლებენ, ჯვარსავით აიტალებენ ჩვენი თვალის წინ და როცა ხელი დაელეწებათ, ისეთ დროს შეაჩერებენ და ისეთი მხრიდან მოგვაჩვენებენ, რომ იძულებული ვართ ჩვენ თვითონ შევტრიალდეთ, ან და თვალებზე ხელი მივიფაროთ.

ახლა მოუსმინოთ თვით ამორძალ „ქერა ლონდას“:

„მე მსურს შემირთოს ალექსანდრემ: თუ გინდ ერთი
დღით: მიხმოს თავად მან:
გესმით ქალებო: უნდა გავხდე მისკენ ორსული“.

სხეულის ჟინით შეპყრობილი ქერა ლონდა იმდენად ტლანქი გემოვნების არ იქნება, რომ მან ორსულობაზე იფიქროს, როდესაც ის ელტვის ისეთი კაცისკენ, როგორიც ალექსანდრე იყო; მისი აღხორცება ამაზე ფიქრის ნებას არ მისცემს ლონდას. ხოლო ამ სიტყვის ხმარება დასჭირდა რობაქიძეს, მე მგონია, იმიტომ, რომ მისი ლექსი მეორედ აღარავინ წაიკითხოს.

ამ ჟურნალში მოთავსებულ სხვა ავტორთა გვარებს და ლექსებს სათითაოდ არ მოვიხსენებ. როგორც ეტყობა რობაქიძეს თავის ლექსი დაწერისთანავე გადაუცია მათთვის წასაკითხად, და მერვე გვერდზე კიდეც შეწუხებით გამოსძახიან:

„მენატრება დაგინახოთ თქვენ სარეცელზე.
„აშლილ ლოგინზე ურცხვი ხელით გატიტვლებული“-ო

აქ ავტორი თავის თავის მეტს ვერავის ხედავს და დარწმუნებულია, რომ მის სიტყვებს რობაქიძის მეტი ვერავინ გაიგონებს, თორემ ასეთს ცინიზმამდე არ მივიდოდა.

სამაგიეროდ მეთორმეტე გვერდის ავტორი უფრო თამამია და თავგანწირულიც:

„მხურვალე კოცნით ამოგიშრობ ოფლიან ღლიავს,
„და ჩემს სიცოცხლეს ცოდვილს, ნამრუშევს
გაუთხრი საფლავს მე თვითონ თავათ“-ო.

აქ, ბატონებო, აზრიც „დიდებულია“, გემოვნებაც „საუცხოვო“, გმირობა „სამაგალითო“ და ენის ღირსებაც „მშვენიერადაა“ დაცული.

მეცხრე გვერდის ავტორი კი ცოტა უფრო ზრდილობიანია და თუმცა „ქალბატონებს“ პირველად მიმართავს „უძილო ღამით ყველას საქმე გამოუჩნდება“-ო, მაგრამ, როგორც „ბუნებით პოეტს“ და „მოაზროვნეს“ ადვილად მუზამ ხელი წაჰკრა და ერთბაშად სიტყვას ცვლის:

„ჩემსა სამშობლოს, ახლა მივხვდი, ჭკუა სჭირდება“. და
„ეს კარგი აზრი მე მეწვია ცოტათი გვიანო“,—

ნანობს ავტორი და საბუთიცა აქვს ამისი. ბოლოს კი გვაიმედებს:

„ყველას გაგვწვდება დღეს ქალაქში ხორცი დაკლული:
„ყველა ვიშოვით სანოვაგეს სულ ახალს დილით“-ო.

აი, ეს „პოეზია“ განსაკუთრებით გაახარებს როგორც ბატონებს ისე მათს მზარეულებსაც, რადგან პირველნი რიგიანად გამოივსებენ ფერდს და მეორენი თავის საამზარეულო ხელოვნებას აღარაფერს დააკლებენ.

და იქნებ ამიტომ ამბობს მეთერთმეტე გვერდის ავტორი—

„ჩემში პოეზია უხვად დატიე,
„მე სისხლნაკლული, ფარაონივით სარკოფაგში ჩავალ დაკლული“.

კმარა. საუბედუროდ საფუძვლიანი კრიტიკისთვის ჩვენში ჯერ ვერავინ მოიცალა. არა მგონია, საამისო შნო არავის ჰქონდეს და იმიტომ ვაეთ ასე უკომპასო გემივით ზღვაში გასროლილი.

ეს უნდა მიეწეროს იმას, რომ ახალი პოეტ-მწერლები ორიგინალობის გამო თვალს არიდებენ ვარდის ბუჩქებს, იის ყვავილებს, ანკარა ტბაზე მოცურავე გედს და სხვა ამგვარებს, რაზედაც როდისმე რამ უთქვამთ ძველ პოეტებს და სამაგიეროდ დიდის ხალისით და აღტაცებით აგვიწერენ თუ მოაგონდათ ლაფში ამოსვრილ ღორის სურათს, კატის ჩხავილს და სხვა... მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ახალი იქნება და ამაზე ძველად არაფერი თქმულა.

დასასრულ. პროზა ამ ჟურნალში შედარებით მეტის-მეტი სადაა და თავდაჭერილი. მართალია შიგ ზეალმტაცი არაფერია და არც რამ ახალი, მაგრამ ლექსების შემდეგ მისი წაკითხვით გონება ისვენებს და ჟურნალს გულ-დინჯად დახურავთ.

ა. ჭელიძე

## სახიობა მუსიკა მხატვრობა

**ქართული კლუბის** სასცენო დარბაზი მარტის 6 არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა: კედლებზე სრულიად ახალი სურათები გაეკრათ, ახალგაზდა მხატვართაგან სახელდახელოდ დახატული: I რადიოტელეგრაფის ოფიცერის შავიშვილის: 1, ფერადი ფანქრით ნახატი „მიწის ძვრით გორის ციხის დანგრევა“,—ბურჯი დანგრეულია. თავზარდაცემული ხალხი გამორბის, მაგრამ ყველაზე უფრო საზარელია საქონელი (ხარია თუ ძროხა), რომლის თვალებში ბუნების რისხვის მთელი საზარლობაა გამოკვეთილი; 2) „ჩვენი ახალგაზდობის გამგზავრება საზღვარგარედ“, ტიკჭორებით, ქათმებით და გოჭებითაც კი. მშვენიერი შარჟია: ატყობ, მიდის ახალგაზდა მაგრამ არა შვენიერების წყურვილით გატაცებული, არამედ ნუნუას ალერსით მოხიბლული; 3, აზრიანია „დამოუკიდებელი საქართველო“—მკერდ-შიშველი, სავსე ძუძუებამაყად მდგარი ქალი, ეროვნული დროშით და გვირგვინისებურ თავსაბურით; II ელენე ახვლედიანის 1) „გაუმარჯოს განთავისუფლებულ საქართველოს!“—ახალგაზდა ქართველს გველეშაპისთვის ხმლით თავი მოუკვეთნია, ცალხელში გველეშაპის თავი უჭირავს, მეორეში სისხლიანი ხმალი და ამაყად წელში ალმართული შორს გაიცქირება, კვლავ გამარჯვების მოლოდინით აღფრთოვანებული და უკეთესი მომავლის მოიმედე; 2) „რუსთველის პროსპ. ლაღიძის წინ“—აქ ცოცხლად წარმოდგენილია უქმია ახალგაზდობა, მთელი დღე-ღამე რომ ერთ ადგილს სტკეპნის, ანუ უაზროდ მიმოყიალებს; 3) ,,სმენა‘‘—ჯარის-კაცთა წრვთნა; III ჯავშნოსან საავტომობილო გუნდის ოფიცრის ევ. გ. ბეგთაბეგიშვილის კარიკატურა „ჩვენების გამგზავრება საზღვარგარეთ!“—ავტომობილი დამსხვრეულია, მგზავრი ქვეშ მოჰყოლია, გერმანელი პოლიციელი ოქმს ადგენს... აქვეა სურათები სტროევის (ჰაეროპლანის ჩამოვარდნა) და სხ. იატაკი მოფენილია შერჩეული ხალიჩა-ნოხებით. მაგიდებზე აბაჟურიანი ლამპარებია, სინათლე მინაბრებულია, თითქო აღმოსავლეთის მბრძანებლის სასახლეში ხართო .. ღამის მეთორმეტე საათზე უკვე გაივსო დარბაზი... აქ შეიკრიბა თბილისის უმაღლესი საზოგადოება—არისტოკრატიის ნაშთებიდან მოყოლებულ ბურჟუაზიის აყვავილებამდე. აქვე არიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და ქართველი მოწინავე პირნი,—განსაკუთრებით ჰშვენოდენ ივერიის ტურფა ასულნი: აგერ თითქო მუზანი ჩამოფრენილან ცოდვილ მიწაზეო,—შიგა და შიგ გულ მკერდ შიშველნი... საერთო ყურადღებას იქცევს საღამოს დიასახლისი ვერა ალ. ბერიძისა და სხვ. მე-12 ს. საღამოს კონფერანსიე ისაია დოლუხანოვი მახვილ სიტყვაობით აუწყებს საზოგადოებას საღამოს მიზანს—გორში დაზარალებულთა და საზღვარ გარედ გაგზავნილ ახალგაზდათა სასარგებლოდ იმართებაო, შეექეცით და იმხიარულეთო... ამავე დროს აცხადებს: გრ. ბერიძემ შემოსწირა ათასი გირვანქა სტერლინგიო (ჩვენის ფულით დახ მილიონი და ორასი ათასი მან.) ტაში. აკვნესდა მუსიკა, ფარდის ახდისას ცოცხალი სურათი უჩვენეს—დამოუკიდებელი საქართველო.. ორკესტრს დიდის აღგზნებით ლოტბარობდა ბეგთაბეგიშვილი. თავ. ბეგთაბეგიშვილის ბალეტი „გრძნეული სიზმარი“ საუცხოვო რამ გამოდგა: მუსიკით, შინაარსით, აღსრულებით და ჭრაველ ფერობით: აქ გამოყვანილია, სხვათა შორის, ყველა ერის წარმომადგენელი თავისი დამახასიათებელი ცეკვით: აღმსრულებელნი ერთი მეორეს ეცილებიან უკეთ შესრულებით,—საერთო აღტაცებას იწვევენ ბავშები გვარამაძის ასული, ლილი ბეგთაბეგიშვილი, აგრეთვე მერი შერვაშიძე—ერისთავისა, განსაკუთრებით შთაბეჭდილება დასტოვეს ანგელოზებმა- და კრუხწიწილმა—პატარა ბავშებმა თავისი შეგნებით და მოხდენილი ცეკვით. ბალეტის შემდეგ მთელ დარბაზში შემოაქროლეს ბუშტები,—რამაც არა ჩვეულებრივი სიცოცხლე შემოიტანა. თითოეული იყიდებოდა 500—1000 მან და მეტადაც. ამ დროს მოისმა რიხიანი ხმა მგოსან პაოლო იაშვილისა: სომეხთა მგოსანმა ჰოვანეს თუმანიანმა თავისი ერთი წიგნის ჰონორარი 10000 მან. გორელების სასარგებლოდ გამოგზავნაო“. ასტყდა ტაში. ,,ახლა კი აუქციონს ვიწყებ, განაგრძობს პაოლო,—და, იმედია, ყველას ჯიბე გაიხსნებაო...“ და დაიწყო რუსულ-ქართულ მოსწრებულ ექსპრომტებით... აგერ ,,ორიონის‘‘ გამომცემელი სერ. ამ. მელიქოვმა შემოსწირა 50000 მან. პაოლოს მოსწრებულ, ყველა პარისთვის ზედგამოჭრილ კაფია ლექსებს აღგზნებაში მოჰყავს დამსწრენი და მოდის 10000, 15000 მან. მალე 300000 მ. შეკრიბა. კვლავ ფარდა აიხადა: ქ-ნ კოშიცის საგანგებო ნომერი ცხენების ჯირითი (ოთხი ლაგამ ამოდებული კაცით), იასე ანდრონიკაშვილის მრავალფერი შანსონეტი, მელ. ჩოლოყაშვილის, თ. ერისთვის და სხ. სტილიურ-ჰაეროვანი ცეკვა საზოგადოება ეშხზე მოჰყავს. აღსანიშნავია სომეხთა მსახიობქალის არუწ ვოსკანინის ეროვნული ცეკვაც ტაშ-ჩორსი, ქართული კი არსად სჩანდა... ამ ბრწყინვალე და უცხო საზოგადოების წინაშე უცებ გამოახტუნეს „ავლაბრელი“ მოცეკვავე ..ქალები‘‘,—შარჟი: უხამსად გადაცმული ბ-ნი ვაკარეცი და ორიც კიდევ ვიღაც გრძელ ცხვირა მამაკაცი .. ჩიხტა-კოპით... ნეტა რა ადგილი ჰქონდა ამას? —ან ვის დასცინოდენ?! —საერთოდ შინაარსიანი საღამო იყო და შემოსავალიც დიდი...

**კენტი**

———

**საარტისტო საზ-ბის თეატრში** მარტის 10 ქართველ მსახიობებმა წარმოადგინეს ა. სუმბათიშვილის „ღალატი“ ზეინაბს ასრულებდა ნ. დავითაშვილი. რამდენად ნინო ჩხეიძის ზეინაბი მხატვრული და მედიდურია, იმდენად ნ. დავითაშვილის ზეინაბი ბუნებრივი და ქართულია, დავითაშვილის, ზეინაბი აგრძნობინებს მაყურებელთ ქართველ ტყვე—დედოფლის სულიერ განცდას.

ელ. ანდრონიკაშვილის ამპლუაში გაიანე საუკეთესო როლად უნდა ჩაითვალოს. ვასაძეს დათას არა უშავდა რა. დანარჩენი როლები ძველ აღმასრულებელთა შორის იყო განაწილებული. ყველა ჩინებულად ასრულე და როლს. საერთოდ 10 მარტის „ღალატს“ არა უ ტნია ქართულ სცენისთვის და გვიკვირს ქართველ გადოების ღალატი ამ კლასიკურ პიესისადმი. გასველია მართლაც ქართველ საზოგადოების არა ქართველობა, რომელიც რუსულ ოპერაზე სცვლის ქართველ ხელოვნებას და ვინც არ დაესწრო მარტის 10 საღამოზე, იგი წაგებული დარჩა.

**ქინა.**

**სახალხო სახლმა** აღზარდა არა მხოლოდ საკუთარი მაყურებელ-მსმენელი საზოგადოება, არამედ საკუთარი მსახიობნიც: ნ. გოცირიძე, სოფიო რომანიშვილი—დგებუაძისა, სოსო რომანიშვილი, გ. ანაშვილი, კ. ხახანაშვილი, ი. მინდიაშვილი, ბარათაშვილის ასული და სხ. მართალია ჩვენი ძველი, ეგრედწოდებული ქართული თეატრი, ასცდა თავის გზას და თითქო კერა გააცია, სამაგიეროდ ხალხმა შექმნა საკუთარი ძალებით. ამ წრის მორიგი წარმოდგენა მარტის 6 „მსხვერპლი“ და „ჭკუისა მჯირს“ კიდევ ერთი გამარჯვება იყო ხელოვნებისა. ვინც ამ წარმოდგენას დაესწრო, აშკარად იგრძნობდა რაედენი გრძნეული ძალა აქვს ნიჭიერ დრამატურგსა და ხელოვან-მსახიობს... იყო წუთები, როდესაც მთელი დარბაზი გაკანკული, სულ-განაბული უსმენდა სცენაზე მოქმედებას და ბევრს გულწრფელი ცრემლიც მოსწყდა. ეს ცოდვათაგან განთავისუფლების ხარკი... დრამატურგის სოსო გედევანიშვილის დაკვირვებით და ნიჭიერად შეცვანძული დრამა, ნიკო გოცირიძის (საქულ) ხელოვან ოსტატურად გამოკვეთილი ხატება. ყოველი ნაბიჯით, ამოსუნთქვით და გამოხედვით შეხამებული, კ. ხახანაშვილის გოროზი, ავაზაკური, თავისებურ-რევოლიუციონური გამომეტყველება გიგოს რომ ახლავს, ს. რომანიშვილის უმანკო, ღვთისნიერ და საქვეყნო საქმისთვის თავგამოდებული მოხუცი გლეხის დახატვა ხმით, ნაბიჯით, მორთულობით, ი. მინდიაშვილს სოფლის ტიპიურ მამასახლისის განსახიერება—ბოქაულთან რომ მონაა, ხალხთან—ბატონი, მედუქნესთან ყლაპია, ბარათაშვილის ასულის ტრაღიზმით სავსე განცდა, თითქო საკუთარი შვილი მოსწყვიტეს გულსო, თავდგირიძის დაკვირვებული და შეგნებული თამაში, მარგველაშვილის გულწრფელი, სადა იმავე დროს მაღალი დრამატიზმით სავსე გადმოცემა, აი, ყოველივე რითაც „მსხვერპლის“ I და III მოქ. განასახიერეს და საზოგადოებისგან მოწონებაც დაიმსახურეს. აღსანიშნავია აგრეთვე შაქროს აღმსრულებელი ვ. ბაზლაძის ნიჭი, ბავშების (ურემს რო მოაგორებენ) შეგნებული და გაბედული სიტყვა პასუხი. ნაცვლისა (სალაყაია), ნ. გოძიაშვილის (მიხოს) და ნ. ჭანკვატაძის (მწერლის) ტიპიურობა. კარგი იყო მეტრეველიც (ბოქაული), მაგრამ ხმით მაინც **მეტ-რეველ-ი** იყო საჭიროა საკუთარი „მე“-ს გათქვეფა გასაპიროვნებელ ხატებაში. ბოლოს „ჭკუისა მჭირში“ ნ. გოცირიძემ, ი. მინდიაშვილმა და გ. ანაშვილმა თავისი ცოცხალი და ტიპიური აღსრულებით ბევრი აცინეს დამსწრენი. რეჟისორობდა კ. შათირიშვილი. თეატრი ხალხით გატენილი იყო.

უსავანო

**მუშტაიდის კლუბში,** მარტის 6 რკ. გზ. ცენტრალურმა კულტური. განშ. კომისიამ, მიწის ძვრისგან დაზარალებულ გორელების სასარგებლოთ გამართა საღამო. დასდგეს ბ. არაყიშვილის ოპ. „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და აზიანის კომ „გაცრუებული იმედები.“

არა ერთხელ დაწერილა და აღუნიშნავათ, რომ ბ. არაყიშვილის ოპ. „თქმულება შოთა რუსთაველზე“, საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებიაო. და ეს მართალიც არის. პირველად რო ვნახე ეს ოპერა სახელმწიფო თეატრში, ჩემს აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ტკბილმა ქართულმა მუსიკამ ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე, რომ მისი გადმოცემა არ ძალმიძს.

სულ სხვა იყო ეს ოპერა მარტის 6-ს.

უსიცოცხლო, ულამაზო და ყოველ სიტკბოებას მოკლებული. ჩემის ფიქრით ყველა ეს იმას მიეწერება, რომ ის ძალები, რომლებიც ღებულობდნენ იმ ღამეს მონაწილეობას, რასაკვირველია, **ზოგიერთების** გამოკლებით, ერ-ჯერობით სრულიად არ არიან საოპეროდ მომზადენი. კარგები იყვნენ: ქ-ნი კალანდაძე—აგასოვისა და ლორთქიფანიძე. არა უშავდა ბ-ნ აკოფაშვილს.

რაც შეეხება კომედ „გაცრუებულ იმედე“-ბს, მიუხედავად მრავალ-გვარ დაბრკოლებების, სცენის მოყვარეებმა გვარიანათ ჩაატარეს. ხალხი ბლომად დაესწრო. ბოლოს გაიმართა ვახშამი აუქციონით, რომელიც დილამდის გაგრძელდა. შემოსავალი დაახ. 40000 მან. იქნებოდა.

**ტენორი.**



**შალვა დადიანი**

— ვნახოთ, და მნახავენ თუ ვერა!..

(ძველი შარჟებიდან)

# ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

❉ **პირველ ქართულ კლუბში** შესდგა ქართველ სტუდიელებისაგან დრამატიული დასი მ. ქორიძის რეჟისორობით. დასში შედიან: ქ-ნი ა. ქიქოძე, ანჯაფარიძე, გამრეკელი, ციმაკურიძე; ბ-ნი ვასაძე, ჭიაურელი, სარჩიმელიძე, ლამბაშიძე, სარაული, გელოვანი და სხ. დასს განზრახული აქვს ყოველ-კვირეული წარმოდგენები.

❉ **მეორე ქართულ კლუბთანაც** შესდგა სცენის მოყვარეთა დასი მსახ. არაბიძის რეჟისორობით.

❉ **ლოტბარი ს. სტოლერმანი,** რომელმაც აფექტის დროს მოჰკლა ცოლი, სასამართლომ გაამართლა.

❉ **ქ. გორის** საალმშენებელ კომისიაში ხელოვანთა წარმომადგენლად აირჩიეს მხატვარი შევარდნაძე.

❉ **პარიზიდან** უკვე ჩამოვიდა მსახიობი მ. ნანობაშვილი, მიშელ დ, არიალ.

❉ **მსახ. ინაშვილის** ბენეფისმა სახელმწიფო თეატრში არაჩვეულებრივად ჩაიარა. მსახიობს დიდი პროგრესი ემჩნევა.

❉ **ქართველ მომღერალთა** კავშირი ამზადებს რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“ ს, რომელიც დაიდგმის სახელმწიფო თეატრში.

❉ **ჩვენს თანამშრომელს** მომღერალს-ბარიტონ სვ. წერეთელს და მსახიობ ჭიაურელს სამ. კონსერვატორიამ დაუნიშნა ქართვ. მომღერალთა კავშირის მუდმივი სტიპენდიები.

სვ. **წერეთელმა** დაწერა ვოდევილი 1 მოქ. „გაპროლეტარებულნი და გაბურჟუებულნი ცოლ-ქმარნი“

❉ **ჰოვანეს თუმანიანმა** გორის ფონდს შესწირა 10000 მან.

❉ **ახალგაზდა მგოსნის** კ. ჭიჭინაძის საღამო გაიმართება ქართულ კლუბში. სხვათაშორის დაიდგმის „ციმბირელი“. როლებს შეასრულებენ მწერლები. შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი.

❉ **ვისაც ჰსურს** ჟურნალის გზავნა არ შეუწყდეს, ჯერ ხნობით უნდა გამოგზავნოს 100 მან.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.